საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1840 2023 წლის 16 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის მიზნით, რომლებიც ამახინჯებენ მუნიციპალიტეტის იერსახეს ან/და სიცოცხლისთვის/ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველნი არიან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 643 229 (ექვსას ორმოცდასამი ათას ორას ოცდაცხრა) ლარი, მათ შორის:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 188 000 (ას ოთხმოცდარვა ათასი) ლარისა;

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 180 289 (ას ოთხმოცი ათას ორას ოთხმოცდაცხრა) ლარისა;

გ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 151 340 (ას ორმოცდათერთმეტი ათას სამას ორმოცი) ლარისა;

დ) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 72 600 (სამოცდათორმეტი ათას ექვსასი) ლარისა;

ე) სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 51 000 (ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარისა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**